პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ოთხშაბათი, 14 იანვარი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

№ 9 (697) 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელ. 2—24

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

ოთხშაბათს 14 იანვარს საღამოს 6 საათზე

რედაქციის ბინაზე

დანიშნულია

## სამხედრო თათბირი

გაზეთ „წითელ არმიელის" რედაქცია.

## ყველა წითელ არმიელთა საყუ-რადღებოთ.

ხშირად ჩვენი მკითხველები მოგვმართავენ ერთი საყვედურით—რატომ ჩვენს გაზეთ „წითელ-არმიელში" არ არის ისეთი განყოფილება, სადაც თავსდებოდეს წითელ-არმიელების შეკითხვები ნაწილიდან და მასზე იცემოდეს სათანადო პასუხი. უნდა ვსთქვათ რომ აქ რედაქცია არაფერ შუაშია. ეს საქმე უმთავრესად დამოკიდებულია თვით ნაწილებისგან.

რედაქცია არამც თუ არ არის წინააღმდეგი ასეთი განყოფილების დაარსების ჩვენს გაზეთში, პირიქით ის მოწადინებულია შექმნას ასეთი „წითელ-არმიელში". ამის შესახებ არაერთხელ დაწერილა, რომ რედაქცია სიამოვნებით შემოიღებს განყოფილებას „პასუხი შეკითხვებზე". ასეთი განყოფილების დაარსება კი მეტად საჭიროა, ვინაიდან ყოველ დღიურ მუშაობაში, წითელ-არმიელების წინაშე იჭრება მთელი რიგი პირადი თუ საზოგადოებრივი ხასიათის საკითხებისა, რომელშიდაც ის ვერ არის ჯეროვნად გარკვეული და სურვილი აქვს პასუხი მიიღოს მასზე.

ცხადია ამ შემთხვევაში მან ყოველთვის უნდა მიმართოს თავის მეგობარს გაზ. „წითელ-არმიელს" და ეს უკანასკნელი ყოველთვის მისცემს მას სათანადო განმარტებას.

ხშირად ასეთ განმარტებებს საჭიროებენ, არა თუ წითელ-არმიელები, არამედ ზოგიერთი ჩვენი პოლიტიკური მომუშავენი და მეთაურებიც.

ზედმეტი არ იქნებოდა, რომ ისინიც ამ შემთხვევაში მიმართავდენ ჩვენს გაზეთს.

დღემდი ასეთი შეკითხვები თითქმის არ იყო.

ცხადია თუ კითხვა არ მიგიღია, პასუხი საიდან უნდა გაჩნდეს. ამიტომაც არც საამისო განყოფილება არ იყო ჩვენ გაზეთში.

ცხადია, რომ ეს დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

გაზ. „წითელ-არმიელი" ჩვენი წითელი ჯარის ორგანოა. მისი მიზანია—ღრმად ჩასწვდეს ჩვენი ჯარის ცხოვრებას და რაც შეიძლება ფართედ ასახოს ის.

გაზეთმა კარგად უნდა იცოდეს რა აღელვებს თავის მკითხველს, რა აინტერესებს მას. მხოლოდ მაშინ შეუძლია გაზეთს დააკმაყოფილოს თავისი მკითხველის მოთხოვნილება და გახდეს მისი ნამდვილი მეგობარი. ამასში მას უნდა დაეხმარონ წითელ-არმიელები, პოლიტმომუშავეები და მეთაურებიც.

ხშირად მოგვაწოდეთ შეკითხვები და განმარტებებიც თავის დროზედ იქნება.

აი მაშინ შეიქმნება განყოფილება „პასუხი შეკითხვებზე" ჩვენს გაზეთში.

## კიდევ ერთი ყინული დაიძრა.

საბჭოთა კავშირს კიდევ ერთი მტერი ჩამოსცილდა. გადადგა თავის თანამდებობიდან ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრი იუზი. ეს დიდი მნიშვნელობის ფაქტია, ვინაიდან ის მოწმობს ახალი დამოკიდებულების დასაწყისს საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შორის.

იუზი დაუძინებელი მტერი იყო საბჭოთა ხელისუფლების. როგორც კერზონი, ის მტკიცედ ატარებდა შეურიგებლობის პოლიტიკას ჩვენ წინააღმდეგ და ყოველთვის მზად იყო ათასგვარი მახე და დაბრკოლება გადაეღობებია ჩვენთვის. ცხადია, სანამ ის იქნებოდა ასეთი დიდ თანამდებობაზე ამერიკის მთავრობაში, შეუძლებელი იყო ლაპარაკი ამერიკასა და ჩვენს შორის რაიმე მჭიდრო ნორმალური ურთიერთობის დამყარებისა. მაგრამ აი რადიო მოაქვს სასიხარულო ამბავი მისი გადადგომის შესახებ. იმავე ცნობით მის თანამდებობაზე დაინიშნა ამერიკის ელჩი ლონდონში ფრანკ კელოგი. თუმცა არც კელოგი არის დიდი მოტრფიალე საბჭოთა კავშირის ცნობისა, მაგრამ შედარებით იუზთან ის უმნიშვნელო პოლიტიკური პიროვნებაა, რომელიც უფრო მორჩილი და ნაკლები ინიციატივის ადამიანი იქნება, ვიდრე იუზი.

უნდა ვსთქვათ, რომ იუზის გადადგომა სრულიად არ არის შემთხვევითი. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან ამერიკის ბურჟუაზია ძლიერ დაინტერესებულია საბჭოთა კავშირთან ეკონომიური კავშირის გაბმით. ამერიკას დიდათ აინტერესებს ჩვენი საბჭოთა ნავთი და სხვა ბუნებრივი სიმდიდრე. ამავე დროს ჩვენ დიდძალი საქონელი გამოგვაქვს ამერიკიდან, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო იარაღები, ბამბა და სხვა. ამერიკელები დიდათ განცვიფრებული არიან იმ გარემოებით, თუ რა რიგ სინდისიერათ ვასრულებთ ყველა სავაჭრო ხელშეკრულებებს. მათი ნდობა ჩვენდამი მეტის მეტად გაიზარდა.

ცნადია ყოველივე ეს ადრე თუ გვიან აიძულებდა ამერიკის მთავრობას შეეცვალა თავისი პოლიტიკის გეზი ჩვენს მიმართ და გადაედგა ნაბიჯები ჩვენთან დაახლოების მიზნით. იუზის გადადგომაც სწორედ ამას მოწმობს. ამაზედ ლაპარაკობენ ბურჟუაზიული გაზეთებიც.

სხვათა შორის ამერიკის წარმომადგენელმა ბერლინში განაცხადა სიტყვა-სიტყვით შემდეგი: „იუზის გადადგომა ნიშნავს იმას, რომ მალე ამერიკა საბჭოთა კავშირს იცნობს".

ამერიკის მიერ „საბჭოთა კავშირის ცნობას დიდათ შეუწყობს ხელს სენატორი ბორას ჯგუფიც. სენატორი ბორა იუზის დიდი მოწინააღმდეგე და საბჭოთა კავშირის ცნობის მომხრეა. იუზის გადადგომით მისი გავლენა ამერიკის საგარეო საქმეებზე დიდათ გაიზრდება. ეს კი მოწმობს მას, რომ ამერიკა თანდათან იხრება საბჭოთა კავშირის ცნობისაკენ და მალე სისრულეშიც მოიყვანს მას.

—ე.

## პოლონეთის რაზმის თავდასხმა საბჭოთა საზღვარზე.

**5 იანვარს პოლონეთის საზღვართან მდგომ ჩვენმა გუშაგმა შეამჩნია პოლონეთის ტერიტორიიდან სამხედრო ნაწილის მოძრაობა; ესენი იქნებოდენ დაახლოებით 40 კაცამდი. ამ რაზმის ნაწილი გადმოვიდა საზღვარზე და აუტეხა სროლა გუშაგს. თავდამსხმელები მივიდნენ საკომენდანტო სამმართველოსთან, დაუშინეს ბომბები და ასტეხეს თოფის სროლა.**

**ჩვენმა დარაჯებმა დაუშინეს თავდამსხმელებს და განდევნეს უკანვე საზღვარზე.**

**საკავშირო მთავრობამ სასწრაფოდ მიავლინა ადგილზე სპეციალური კომისია, რომელმაც უნდა გამოიძიოს ეს საქმე.**

## მასწავლებელთა საკავშირო ყრილობის გახსნა.

### კულტურული რევოლიუციის დასაწყისის წინაშე.

12 იანვარს მოსკოვში გაიხსნა მასწავლებელთა 1-ლი საკავშირო ყრილობა.

ყრილობა გახსნა განათლების კავშირის ცეკას თავმჯდომარემ კოროსტილევმა, რომელმაც აღნიშნა საბჭოთა კავშირის ძლიერების ზრდა. ლენინმა დაგვიტოვა ჩვენ ანდერძი მტკიცედ დავიცვათ მუშებისა და გლეხების კავშირი. მასწავლებელთა და ინტელიგენციის სახით, რომელმაც სავსებით მიიღეს მუშათა კლასის თვალსაზრისი, ჩვენ ვხედავთ მუშათა და გლეხთა ერთგული მოკავშირეს.

მუშები და გლეხები დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს იმ მოძრაობას, რომელსაც ადგილი აქვს დღეს მასწავლებელთა რიგებში. ჩვენ ვდგევართ კულტურული რევოლიუციის დასაწყისის წინაშე. ის დიდი მოძრაობა, რომელსაც დღეს ადგილი აქვს მასწავლებელთა შორის (კონფერენციები, თათბირები) დამამტკიცებელია იმის, რომ მასწავლებლობა ხელს ჰკიდებს კულტურულ აღმშენებლობას, განსაკუთრებით სოფლად.

## მასწავლებლობის ისტორიული ამოცანები.

ამხ. კალინინი ესალმება ყრილობას და ამბობს, რომ მასწავლებლობისაგან ისტორია მოითხოვს ახალი ადამიანის შექმნას და კომუნიზმისათვის ბრძოლას. მე დარწმუნებული ვარ, რომ მასწავლებლობა თუ დღეს არ არის მომზადებული ამისითვის, ყოველ შემთხვევაში მოემზადება და ამოცანებს შეასრულებს.

## მარტის მისალმება.

ყრილობას კომინტერნის სახელით ესალმება ამხ. მარტი და ადარებს ერთმანეთს კაპიტალისტურსა და სოციალისტურ წესწყობილებას.

შემდეგ ამხ. მარტი ეხება პროფ-მოძრაობის მთლიანობას და მასწავლებლობის როლს ამ საქმეში.

„მე დარწმუნებული ვარ—ამბობს მარტი—რომ მასწავლებლობა გადაჭრის იმ ამოცანებს, რომელიც წამოყენებულია მის წინაშე მთელი ქვეყნიერების პროლეტარიატის მიერ".

## მასწავლებლობის როლი ქვეყნის თავდაცვის საქმეში.

ფრუნზე ესალმება ყრილობას წითელი არმიის სახელით და ამბობს:

„მასწავლებლობამ არ უნდა იფიქროს, რომ ქვეყნის დაცვა თითქოს მარტო წითელ არმიას შეეძლოს.

მასწავლებლების როლი სახელმწიფო თავდაცვის უნარიანობაში დიდია. გამარჯვება შეუძლებელია, თუ არმიაში არ არის შეგნებული წითელ არმიელი. მომავალში მუშურ-გლეხური წითელ არმიის შეგნებასა და განმტკიცებაში მასწავლებლობას შეუძლია ითამაშოს მთავარი როლი".

შემდეგ ყრილობას ესალმებიან კომისარიატების და სხვა და სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები.

## მისი სიტყვებით ლაპარაკობდა მთელი ყრილობა.

**ყრილობისადმი მიმართულ მრავალ მილოცვათა საპასუხოდ გამოვიდა მოსკოვის გუბერნიის მასწავლებელი ქალი—ავტონეევა, რომელმაც სიხარულის მღელვარებით ატორტმანებული ხმით წარმოსთქვა: „ისმინე შენ, მომავლის მოქანდაკევ, ლურჯ-ხალათა მუშავ! შენ—გლეხო! შენ—წითელო-არმიელო! თქვენ ყველასა და თქვენს ძმებს —ჩვენი ძალა, ჩვენი ცოდნა, მთელი ჩვენი სიცოცხლე! ისმინე შენც პარტიავ! შენც მისო მძინარე ბელადო ლენინ! რევოლიუციის ცხოველ მყოფელ ქურაში მომწიფდა ჩვენი შეგნება! გზა პარტიისაკენ რევოლიუციონურ ენერგიით სავსე განათლების მუშაკს!"**

საპასუხო სიტყვებით გამოვიდენ აგრეთვე მასწავლებლები—ვასილიევი, ლუნკავიჩი და ბაბაევი.

## იუზის გადადგომის შესახებ.

ჯერჯერობით გამოურკვეველია ის გარემოება, რომელმაც გამოიწვია ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრის იუზის გადადგომა. ასე სწრაფად გადადგომა პრესისთვის დაუჯერებელია, რომ ვითომც იუზის სურვილი ყოფილიყო კერძო ცხოვრებისადმი დაბრუნება. საერთო აზრია, რომ იუზის გადადგომით შეიცვლება პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ.

## „რუსეთი მალე გამოვა სცენაზე".

ნიუ-იორკის გაზეთ „ჟორნალ ოფ კომმერსი"-ს კორესპონდენტი სწერს:

„ამერიკის პოლიტიკაში მთავარ ცვლილებად ითვლება ახალი პოლიტიკა რუსეთის საკითხში. აქ ფიქრობენ, რომ რუსეთი კვლავ გამოვა სცენაზე".

ლონდონში მყოფი ამერიკის ყოფილი ელჩი გარვეი, როგორც იუწყებიან, უკანასკნელ დროს შეიქმნა საბჭოთა კავშირის ცნობის მომხრე.

# ᲛᲔᲝᲠᲔ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ ᲡᲐᲡᲐᲮᲔᲚᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ.

სოც.-დემოკრატმა რაშმა ქალაქ ბრესლაუში 40 ათასი მარკა მიითვისა.

(დეპეშებიდან.)



პოლიციელი.—არიქა, ქურდი, ქურდი!
ქურდი.—მოითმინეთ ამხანაგო, თქვენც გხვდებათ.

## „სოციალ-დემოკრატი"-ქურდი.

გაზ. „შლიზიშე არბეიტერ ცეიტუნგის" ცნობით, ქალაქ ბრესლაუს თვითმართველობის მრჩეველმა, სოციალ-დემოკრატმა რაშმა, საბჭოს წევრობის დროს მიითვისა 40.000 მარკა.

## რუსეთის საკითხი დიდ როლს თამაშობდა იუზის გადადგომაში.

„„უნაიტედ პრესი" იუწყება": რუსეთის საკითხი გაცილებით მეტ როლს თამაშობდა იუზის გადადგომაში, ვინემ ეს ფართო საზოგადოებას ჰგონია. უკანასკნელ დროს ძლიერდება საბჭოთა კავშირის ცნობის მომხრეთა თვალსაზრისი".

რეაქციონური გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" აცხადებს, რომ იუზის გამოცვლა ნიშნავს იმას, რომ კულიჯმა გახსნა გზა საბჭოთა კავშირის ცნობისათვის.

## იუზის გადადგომა მოასწავებს საბჭოთა კავშირის ცნობას მოკლე დროში.

ბერლინში მყოფ როსტას კორესპონდენტს ადგილობრივ ამერიკის წრეებმა განუცხადეს, რომ მსხვილი გაზეთების წარმომადგენლების შეკითხვებზე ამერიკის ელჩმა ხაუგტონმა განაცხადა: „იუზის გადადგომა ნიშნავს საბჭოთა კავშირის ცნობას ახლო მომავალში".

## ამერიკა მალე იცნობს საბჭოთა კავშირს.

„ესტ-ეროპი"-ს სააგენტოს ცნობით იუზის გადადგომის მიზეზი იყო უთანხმოება ბორასთან. სააგენტო აღნიშნავს, რომ ბორა „ერთად-ერთი ამერიკელია", რომელიც მოითხოვს საბჭოთა კავშირის ცნობას. პრესა საერთოდ აღნიშნავს. რომ ამერიკის პოლიტიკა გადაიხრება საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოდ.

## ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა გამოაცხადოს კონკურსი შეჯიბრება ლენინის ძეგლის პროექტისთვის მოსკოვში.

ძეგლის ავტორებს ენიჭებათ სრული თავისუფლება იდეის დამუშავებაში.

შეიძლება გადახვევა აღნიშნულ გეგმიდან, მაგრამ დაცულ უნდა იქნას კონკურსის ძირითადი იდეა.

დანიშნულია 10 კატეგორიის პრემია (ჯილდო) 1.000-დან 4.000 მანეთამდი.

## ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲔᲚᲩᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ.

11 იანვარს მოსკოვში ჩავიდა საფრანგეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საბჭოთა კავშირში ჟან-პოლ ერბეტტი. მას თან ახლავს საელჩოს მოსამსახურეები.

სადგურზე მას შეხვდენ პასუხისმგებელი თანამდებობის პირები.

ვაგონიდან ჩამოსვლის შემდეგ ერბეტმა მიიღო პატაკი საპატიო დარაჯთა უფროსისაგან და მიესალმა წითელ-არმიელებს.

დღის ოთხ საათზე ერბეტტი მიიღო საგარეო საქმეთა კომისარმა ჩიჩერინმა, რომელთანაც ჰქონდა ხანგრძლივი საუბარი.

## პროვოკატორ ოკლადსკის გასამართლება.

(12 იანვრის საღამოს სხდომა.)

### ᲡᲘᲪᲠᲣᲘᲡ ᲰᲐᲝᲑᲨᲘ.

პროვოკატორ ოკლადსკის გასამართლებაზე კრილენკოს შუამდგომლობით ექსპერტების (გამომძიებელთა კომისია) სიაში შეყვანილ იქნა ძველი ხალხოსანთა პარტიის წევრი ფროლენკო.

გრძელდება ოკლადსკის დაკითხვა.

ოკლადსკი დაწვრილებით ლაპარაკობს, რომ პეტროპავლოვსკის ციხეში ჩემს საკანში იდგა აბაზანა ცივი-ყინულისებური წყლით.

ამ წყალში მე მაბანავებდენ და შემდეგ სოველ საცვლების ამარად მტოვებდენ საკანში. ასეთი წამებით სურდათ ჩემი გამოტეხა.

ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ოკლადსკის ჩვენება წამების შესახებ სიცრუეა, ვინაიდან მას სურს შეარბილოს თავისი დანაშაულიო.

ამის შემდეგ ბრალდებულის ჩვენებიდან სჩანს, რომ ის განგებ გადაჰყავდათ საკნიდან საკანში, რათა გამოეტყუათ მისი ამხანაგებისათვის მთავრობის საწინააღმდეგოდ გათვალისწინებული განზრახვები.

ექსპერტი გრინბერგი ამბობს, რომ ოკლადსკიმ დააკაკუნა ჩემთან, უწოდა თავის თავს ტელილოვი და მკითხა: სად იმყოფება ვერა ფიგნერი, არის თუ არა რაიმე ტერორისტული განზრახვა ალექსანდრე მესამეს ტახტზე ასვლის დღისთვის და სხვა.

შეკითხვაზე—არის თუ არა ეს მართალი—ოკლადსკი უპასუხებს: „შეიძლება ასეც იყო, ვინაიდან ასეთი საქმე ბევრთან მქონია".

შემდეგ ოკლადსკი კითხულობს რაპორტს შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე, თუ როგორ დაიჭირეს სახელმწიფოსთვის საშიში კაცი ტრიგონი. ოკლადსკი ამის შესახებ —ამბობს, რომ რაპორტი ჟანდარმების შეთხზულიაო.

შემდეგ ოკლადსკი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ როგორ იცნო მან მოროზოვი.

## საქმიანი რჩევა.

## ჭორიკანების ალაგმვა თვით მუშების საქმეა.

გაზეთ „ბაზილერ ფორვერტსი"-ს რედაქცია ურჩევს შვეიცარიის მუშებს დაიწყონ მიმოწერა რუსეთის პროლეტარიატთან. ამის შესახებ გამოშვებულ მოწოდებაში ნათქვამია, რომ ბურჟუაზიისა და სოციალ-დემოკრატების ჭორები საბჭოთა კავშირის შესახებ გაბათილებულ უნდა იქნას თვით მუშების წერილებით.

## ᲛᲔᲖᲦᲕᲐᲣᲠ ᲓᲐᲕᲣᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ.

სამხედრო სასამართლომ შერბურგში მიუსაჯა ფრანგ მეზღვაურ (მატროსს) დავუანს ორი წლის ციხე თავისი უფროსის ცემისათვის.

1919 წელს დავუანი გამოიქცა ოდესაში და მსახურობდა წითელ გვარდიაში. შემდეგ დავუანი მოხვდა მოსკოვში, სადაც სადულმა საშუალება მისცა მას დაბრუნებულიყო საფრანგეთში.

## პოლონეთის მუშები მოითხოვენ ლანცუცკის გათავისუფლებას.

პოლონეთის მუშები მართავენ მასიურ მიტინგებს და გამოაქვთ რეზოლიუციები, რომლებშიაც მოითხოვენ ლანცუცკის გათავისუფლებას.

## ესტონეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრძანება.

ესტონეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება, რეველის ქალაქის პოლიციის შესახებ 1-ლი დეკემბერის აჯანყების დროს.

გამოირკვა, რომ თითქმის მთელი პოლიციის უბნები და რკინის გზის პოლიციის ბინები დაკავებულ იქნა აჯანყებულების მიერ ყოველგვარ წინააღმდეგობის გარეშე.

რამოდენიმე პოლიციელი გადავიდა აჯანყებულების მხარეზე და ასრულებდენ მათ განკარგულებას.

პასუხის გებაშია მიცემულირამოდენიმე ადმინისტრაციის პირები.

სამხედრო წესები ძალაში რჩება.

# ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ

## ᲓᲐᲠᲘᲒᲔᲑᲐ ᲛᲫᲘᲔᲑᲔᲚᲡ.

როდესაც შენ ჩავარდები მტრის დალაგების მიდამოში, უნდა მუდამ გახსოვდეს, რომ მტერი არა ნაკლებ გაჭირვებაშია. ამიტომ შენ ვალდებული ხარ ეცადო თქვენი მდგომარეობა გააუმჯობესოთ რომ მტერს სჯობნიდეთ, ამისათვის შენი აქტიური მოქმედება საუკეთესო საშვალებაა მიზნის მისახწევათ.

უპირველეს ყოვლისა შენ უნდა ეცადო კარგათ შეითვისო და შეისწავლო ადგილმდებარეობა.

გაგნებას ვინც ვერ შესძლებს, ის ყოველთვის ხიფათის ქვეშ არის. ყოველ შემთხვევაში გაგნება გაუწვრთნელ მძიებელს დიდ დროს წაართმევს.

გარდა იმისა, რომ გაგნება შეიძლება ყიბლანითა და მზის საშვალებით, შენ უნდა იცოდე სხვა მრავალი ილეთები.

სხვათა შორის მოძრაობის დროს კარგია დასტოვო გზაში სხვადასხვა ნიშანი გა'აგნებისა. მაგალითათ ჩამოტეხოთ ხის ტოტები.

შეაგროვოთ ქვები, შეკრათ წნეებათ თივა ან ბალახი და სხვა. ამ შემთხვევაში თუ კი რომ შენ წინასწარ გააცნობ ნიშნებს შენს ამხანაგებს, საშვალება მიეცემათ მათაც მით ისარგებლონ.

სხვათა შორის კარგია გზაში დაიმახსოვნოთ ისეთი ადგილობრივი საგნები, როგორც მაგალითად ცალკე ხე, საყდარი, ლოდი, რომლებიც დიდ საშვალებას იძლევა გაგნებისათვის.

მძიებლისათვის ყველაზე უფრო საშიში და სახიფათოა ტყვედ ჩავარდნა და ამიტომ ყოველგვარი ღონისძიება უნდა იქმნას მიღებული მის თავიდან აცდენისათვის.

მის ტყვედ ჩავარდნით წყდება მისი მოქმედებაც და უფრო საშვალება არ ექნება ცნობები მიიღოს. ყოველ შემთხვევაში მძიებელი ყოველ ღონისძიებას უნდა ხმარობდეს უზრუნველყო'ს თავისი მოქმედების ფრთები და დასაბრუნებელი გზები. როგორც საერთო წესი მიღებული, არა დროს არ დაბრუნდეს მძიებელი იმ გზით, რომლითაც ის წინ მიდიოდა.

ამიტომ საჭიროა წინ სვლის დროს მიაქციო ყურადღება ახალ გზებსა და მიმართულებას.

შენი უზრუნველ ყოფა დამოკიდებულია შენ სიფრთხილეზე და სიმამაცეზე. შენ უნდა ეცადო ყოველ შემთხვევაში მტერი შენ უწინ შეამჩნიო, ვიდრე ის დაგინახავდეს.

თუ რომელიმე ადგილზე თქვენ ეჭვი დაგებადებათ მტრის არსებობაში თქვენ ვალდებული ხართ ხსენებულ ადგილს მიაქციოთ მაქსიმუმი ყურადღება ან და სრულებით აშორდეთ მას . სხვაგადაწყვეტილება ამ შემთხვევაში ხელს შეგიშლის.

მ. გ.

## 30 უმუშევრის საქმე.

პურის ნაცვლად ქვა, ციხე, წამება და სიკვდილი.

30 უმუშევართა საქმე, რომლებიც დაპატიმრებულ იქნენ შავლში და ბრალი ედებათ კომუნისტობაში, შემდეგში მდგომარეობს:

შობის წინა დღით უმუშევრებმა მოსთხოვეს ადგილობრივ თვითმართველობას (იონიშკაში) პური და ფული წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდენ დემონსტრაციით. პოლიციამ დააპატიმრა ყველა ვინც ხელი მოაწერა განცხადებას.

ისინი საშინლად აწამეს, რის გამოც ერთი გარდაიცვალა და მეორე გაგიჟდა. წამების შესახებ ხმა გავრცელდა საზოგადოებაში და თავისმართლების მიზნით პოლიციამ დაბეჭდა ცნობა, რომ ყველა დაპატიმრებულები კომუნისტებია, რომლებიც აჯანყებას აწყობდენო.

## თეთრი ტერორი იტალიაში.

მილანის (იტალიაში) ადმინისტრაციამ ჩამოართვა გაზ. „უნიტას" რედაქტორს პასუხისმგებელ რედაქტორის უფლებები.

გაზეთის გამოცემა შეწყდა.

მთავრობამ შეიტანა პარლამენტში კანონ-პროექტი ფარულ საზოგადოებათა აკრძალვის შესახებ იტალიაში.

განზრახული აქვთ აგრეთვე შესცვალონ საზოგადო უზრუნველყოფის კანონი სისხლის სამართალის კოდექსი და სხვა სასამართლო დადგენილებანი.

## ჩვენი საგარეო ვაჭრობა.

მარგანეცისთვის.

ფოთში ჩამოვიდა უცხოეთის სამი გემი მარგანეცისთვის. ინგლისის გემი „ლოტიკი" წაიღებს 300.000 ფუტს, გერმანიის გემი „ატტიკა"—192.000 ფუტს (ლივერპულისთვის), იტალიის გემი „ჯერმატა"—410.000 ფუტს. ნავთსადგურში ამ ჟამად იმყოფება სულ უცხოეთის 5 გემი. 4 იმათგანი იტვირთება, მეხუთე „ჯერ მატა" რიგში სდგას, ვინაიდან ხუთვეს ერთად დატვირთვა შეუძლებელია.



## პოლიტსაათები კვლავ გამოცოცხლდა.

სანამ ჩვენი მეოთხე ტერ-[...]ლეგიონის მეხუთე ასეული შე-[...]დგებოდა ცვალებად შემად-[...]გენლობის აღრიცხვაზე აყვანას [...]პოლიტსაათები სისტემატიუ-[...]რად მიმდინარეობდენ ასეულ-[...]ში, მაგრამ როგორც კი დაი-[...]წყო მათი აღრიცხვაზე აყვანა, [...]მეცადინო დრო აღარ დაგვ-[...]რჩა და დროებით შეჩერებული [...]იქნა მეცადინეობა.

[...]ახლა აღრიცხვა დამთავრდა. [...]ასეული კვლავ ნორმალურ [...]მდგომარეობაში ჩადგა და შე-[...]საძლებელი შეიქნა პოლიტ-საათების კვლავ სისტემატიუ-რად წარმოება. საგარნიზონო წესდების გავლასაც შეუდექით.

სხვა საქმიანობაც საკმაოდ გამოცოცხლდა ასეულში, მაგ-რამ ძლიერ გვიშლის ხელს ის გარემოება, რომ ახალი დაბი-ნავებული ვართ და ვერ მო-ვეწყვეთ შესაფერისად.

ამდენ ხანს კი გვიხდებოდა ერთი ადგილიდან მეორეზე გა-დასვლა, ხშირად ბინის გამო-ცვლა და მეცადინეობის საქ-მეს ეს ძლიერ აფერხებდა.

წ. არმ. ე. დოლიძე.

საჭიროა ამისთვის სათანა-დო თანხის გამოყოფა.

ამას გარდა ყურადღება უნ-და მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ სკოლისთვის გამოიძებ-ნოს შესაფერი შენობა.

ამხანაგი იმედოვნებს ყველა ამას მიექცევა სათანადო ყურა-დღება. მოხსენება კრებამ მიი-ღო ცნობათ.

პარტკორი ნ. ნანუაშვილი.

## მოავაწყვეთ.

2-რე დივიზიის ცალკე საკა-[...]შირო ასეული პირველად [...]დაბინავებულ შენობიდან გა-[...]ვიდა ახალ ბინაზე.

წითელ არმიელებს აშინებ-[...]დათ ახალ შენობაში გადას-[...]ვლა და ამბობდენ: ისე ვეღარ [...]მოვეწყობით, როგორც ვიყა-[...]ვით, მაგრამ ასეული აქ უფ-[...]რო მოეწყო და ნაყოფიერად [...]შეუდგა თავის საქმიანობას. [...]აქვს სათანადოთ მორთული [...]ლენინის კუთხე, სამკითხველო, [...]სახარმა და სასადილო ოთახი. [...]ასეულის მეთაურ შემადგენლო-[...]ბასთან ერთად დიდი გულმო-[...]დგინეობით მუშაობენ წითელ [...]არმიელებიც.

[...]სამკითხველოში დადგმულია [...]კონსულტაციო ცნობათა ბი-[...]უროს მიერ შემოღებულ ცნო-[...]ბათა ყუთი, სადაც უშვებენ [...]არმიელები სხვა და სხვა გაუ-[...]გებელი საკითხების შესახებ შეკითხვებს, განსაკუთრებით მათ ოჯახებთან და სოფლის ცხოვრებასთან დაკავშირებულ კითხვებს და ღებულობენ სა-ჭირო პასუხს და დახმარებას საკონსულტაციო ბიუროსა-გან.

სამკითხველოში შემოღებუ-ლია კითხვა-პასუხის რვეული, რომელშიდაც არმიელებს შე-აქვთ მათთვის გაუგებარი აზრ-ები. ამაზე კი სათანადო ახსნა განმარტებას შემდეგში იძლევა სამხკომი.

სხვა და სხვა წრეების მეცა-დინეობა, რომლებიც შეჩერე-ბული იყო აქამდე ჩვენგან და-მოუკიდებელ მიზეზების გამო, იანვრიდან ისევ განახლდა. სა-ერთოდ ასეული ნორმალური პირობებშია და სისტემატიუ-რად ეწევა თავის საქმიანობას.

სამხკორი ს—ნია.

## საერთო კრება.

10 იანვარს, შესდგა სამხ. [...]პოლიტ-სკოლის შემადგენლო-[...]ბის გაერთიანებული კრება. [...]დაესწრო მთელი სკოლის შე-[...]მადგენლობა.

[...]განსარჩევი იყო შემდეგი სა-[...]კითხები.

1. კოოპერაცია და მისი მნი-[...]შვნელობა.
2. რემედასის ინსტრუქციის [...]განხილვა.
3. მნეს მუშაობა ერთი წლ-[...]ის განმავლობაში.
4. მიმდინარე საკითხები.

[...]კოოპერაციის და მისი მნი-[...]შვნელობის შესახებ მოხსენე-[...]ბაში აღინიშნა თუ რა შეუძ-[...]ლიან მოგვცეს კოოპერატივმა. [...]კოოპერაცია—ამბობს მომხსენე-[...]ბელი—აკავშირებს მუშებს და [...]გლეხებს, ის მათ ნაწარმოებს [...]ჰყიდის თავის წევრებზე და [...]მეორე მხრივ ის იცავს კერძო [...]ვაჭრების თარეშისაგან მუშებს [...]და გლეხებს. ეკონომიურად [...]ხელს უწყობს საბჭოთა რესპუ-[...]ბლიკების მეურნეობის აღდგე-[...]ნას. მომხსენებელმა გაგვაცნო [...]ჩვენი „ევკოგრუზის“ მუშაობას და თუ რა პირობაში უხდება მას არსებობა და რომორი კრი-ზისები გადაიტანა ბონების ოროკ-ტრიალში, მაგრამ დღე-სო „ევკოგრუზის“ მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეიძლე-ბა ჩაითვალოს და ის აწვდის თავის წევრებს ყველა აუცი-ლებელ საგნებს.

ამხ. მენაბდემ გაგვაცნო რე-მედასის ინსტრუქციები, კრე-ბამ განიხილა ეს უკანასკნელი და გადასცა ბიუროს, რათა გა-მოიმუშავოს მუხლები და მოა-წყოს კვირეული სკოლაში.

მესამე საკითხის შესახებ ილა-პარაკა ამხ. ნნემ, რომელმაც აღ-ნიშნა თუ როგორ ცუდ პი-რობებში იმყოფებოდა სკოლა ამ პირველ ხანებში, მაგრამ ამ ჟამად შეიძლება ითქვას, რომ სკოლის მდგომარეობა გამოს-წორებულია. ტანისამოსის საქ-მე მოგვარებულია, სადილი სა-გრძნობლად გაუმჯობესებულია სამრეცხველო ცოტა მოიკოჭ-ლებს, როგორც სხვა სკოლებ-ში და ამ ნაკლს უნდა სათანა-დო ყურადღება მიექცეს.

## ცხენოსანი ლეგ. ცხოვრებიდან.

**წრეების გადახალისება.**

12 იანვარს ჩვენს ლეგიონში მოხდა აქამდე არსებულ სხვა და სხვა წრეების გადახალისება; დაარსებული იქნა შემ-დეგი წრეები: პოლიტიკური, ანტირელიგიური, სასპორტო, ლიტერატურული, დრამატიული და მომღერალთა წრეები.

წრეების ხელმძღვანელებად არჩეულ იქნენ საუკეთესო ძალები. გამომუშავებულია გეგმა, რომლის მიხედვით თითეული წრე კვირაში მეცადინეობს ერთხელ ორი საათის განმავლო-ბაში.

წითელ არმიელები დიდი ხალისით ეკიდებიან ყველა წრე-ბში მუშაობას და იმედია ხელმძღვანელებიც სათანადოთ გაა-მართლებენ მასზე დამყარებულ იმედებს.

ზ. ზეფარაშვილი.

## გამოასწორეთ ნაკლულევანებანი.

**საცვლებს თავის დროზე ვერ ვღებულობთ.**

უკვე სამი კვირა ხდება, რაც პირველ ლეგიონის პუ-რის მცხობელებს არ მიგვიღია სუფთა საცვლები და არც აბა-ნოში ვყოფილვართ. ნუ თუ დასაშვებია ეს? პურის მცხობე-ლებს, რომ განსაკუთრებული ყურადღება გვექცეოდეს სისუ-ფთავის მხრივ და ყოველ კვირაში ვიგზავნებოდეთ აბანოში-ასეთ მდგომარეობაში არ ვიქნებით. ნუ თუ არ შეიძლება ერთ კვი-რაში გაირეცხოს თორმეტი წყვილი საცვალი და უკანვე მივიღოთ ისევ? ვიმედოვნებთ ჩვენი მნე სათანადო ყურადღე-ბას მიაქცევს ამ გარემოებას და შემდეგში მაინც სისტემატი-ურად მოგვეცემა სუფთა საცვლები და ყოველ კვირაში გა-ვიგზავნებით აბანოში.

წ. არ. ივ. ბეთლეველი.

## წითელ არმიელთა შემოქმედება.

„წითელი კავშირელი“ (2-რე დივიზიის ცალკე საკავშ. ასეულის კედლის გაზეთი).

ეს ნომერი გამოვიდა 7 იანვარს და საგანგებო ხასიათის არის ახალი წლისთვის. მეთაური ეხება ახალ წელს, შემდეგ მიდის ანტირელიგიური ხასიათის ლექსი და სხვა და სხვა შენიშვნები ნაწილის ყოფა ცხოვრებიდან. შემდეგ იუმორი-სტული განყოფილება, სიზმრის ახსნა, დეპეშები, ქრონიკა და ჩვენი მიწერ-მოწერა.

გაზეთის გარეგნული მხარე ძლიერ მიმზიდველია. წერი-ლები დაყოფილია თავებად, ნაწერი სუფთა და გარკვეული ხელით.

უმთავრესად გაზეთში მონაწილეობას ღებულობენ ნაწი-ლების წითელ არმიელები. გაზეთი თავის მრავალფეროვანი მასალით, მოკლე და შინაარსიანი წერილებით ძლიერ იზი-დავს მკითხველებს. ამ ნომერმა საკმაოდ გამოარკვია, რომ ნაწილში თანდათან გამოკეთდა წითელ არმიელთა პრესის საქმე.

იმედია სარედაქციო კოლეგია ეცდება შემდეგში უფრო კარგი ნომრები გამოუშვას.

სერმონია.

## სოფელს ვეხმარებით.

სამხედრო პოლიტიკურ სკოლამ საზაფხულო-საკარვო პერიოდის დროს თავის მზრუნველობის ქვეშ აიყვანა სოფ. ცოცხნარა.

იქ ყოფნის დროს ხშირად მივდიოდით აღნიშნული სოფ-ლის გლეხებთან და შეძლების ფარგლებში უწევდით ყოველ გვარ დახმარებას, შემდეგ სხვა და სხვა მიზეზებმა (მენშევიკუ-რი ავანტიურა) დიდი ხნით მოგვაცილა ჩვენს საშეფო სო-ფელს და ვეღარ უწევდით სათანადო დახმარებას.

ამ ჟამად ისევ გავიხსენეთ სოფ. ცოცხნარა. გამოუწე-რეთ ჟურნალ-გაზეთები, ამას გარდა სპეციალურად გავგზავ-ნეთ ერთი ამხანაგი სასოფლო-სამეურნეო ხასიათის ლიტე-რატურით და მასვე უნდა გაემართა საუბრები გლეხებთან, მათთვის საინტერესო თემაზე. ამხ. პირნათლად შეასრულა ეს დავალებანი და სათანადო მოხსენებით წარუდგა სკოლის საე-რთო კრებას ამ სოფლის მდგომარეობის შესახებ. მან სხვათა შორის აღნიშნა, რომ ჩვენმა კვლავ დაკავშირებამ დი-დათ გაახარა სოფლის გლეხობა და ადგილობრივი პარტ-ორგანიზაციები. ამხანაგმა ისიც აღნიშნა, რომ ზოგიერთ სა-კითხებში გლეხები ვერ არიან კმაყოფილი—როგორც არის ტყით სარგებლობის საკითხი და ამას შესაფერი ყურადღება უნდა მიექცესო. მთელ სურამის რაიონში მოუგვარებელია ეს საკითხი და თუ ასე გაგრძელდა უეჭველია დიდ უკმაყო-ფილებას ექნება ადგილიო.

სამხკორი ი. გიორგობიანი.

## კიდევ ერთი მსხვერპლი.

უცაბედმა შემთხვევამ მოს-წყვიტა საქართველოს კომკავ-შირს ერთ-ერთი დამაარსებე-ლი, ორგანიზატორი საქართვე-ლოს ახ. კომუნისტური კავში-რისა და აქტიური წევრი კო-მუნისტური პარტიისა ამხ. და-თიკო კაჭარავა.



ვინ არ იცნობდა ამხ. და-თიკო კაჭარავას? მას კარგად იცნობდა მტერიც და მოყვა-რეც.

ამხ. დათიკო დაუშრეტელი ენერგიის პატრონი ბოლშევიკი იყო. ის დიდი განძი იყო, რო-გორც კომკავშირისათვის, აგ-რეთვე პარტიისათვისაც. ერ-თობ ძნელია მისი უდროვოდ დაშორება იმ ოჯახისათვის, რომელსაც ის პატარაობიდან შეესისხორცა და პირველი აგ-ური აუშენა.

ის მთელი ენერგიით, მთე-ლი შეგნებით და გატაცებით აყალიბებდა კომკავშირთა ორ-განიზაციებს კიდევ მენშევიკე-ბის დიქტატურის პერიოდში.

ის არა ერთხელ ყოფილა სა-სტიკ დევნის ქვეშ მენშევიკე-ბის დროს ამ უდიდესი საქმის შენებისათვის. უდიდესმა საქ-მემ უდიდესი შედეგები მოგ-ვცა საქართველოში და ა. კა-ვკასიაში. კომკავშირი დღეს ბატონ-პატრონია მთელი მუ-შათა და გლეხთა ახალგაზრ-დობის. ის მოწინავე ლენინე-ლთა რაზმი არის, რომელსაც თავისი დროშის ქვეშ მიყვება მთელი მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობა, არ არის დღეს სხვა ახალგაზრდათა პოლიტი-კური მასიური ორგანიზაცია გარეშე კომკავშირისა. კომკა-ვშირი დღეს ერთად ერთი ოფიციალური პოლიტიკური მასიური ორგანიზაციაა, რომე-ლიც უმზადებს მომავალს ახ-ალ-ლენინელებს. ის დღეს სა-ქართველოში ოცდა ორი ათა-სიანი წევრის ორგანიზაციაა. კომკავშირმა შესძლო 95 პროც. მუშათა ახალგაზრდობის ჩათ-რევა თავის ორგანიზაციაში და საგრძნობი ნაწილი ღარიბ გლეხ-ახალგაზრდობისა. სწო-რეთ დღეს სჭირია კომკავში-რს ისეთი ბოლშევიკები-ლენი-ნელები, როგორიც იყო ამხ. დათიკო.

დღეს პარტიული და კომ-კავშირის ორგანიზაცია ქარ-თულ წითელ ლაშქარში მწუ-ხარებით მოიგონებს იმ უდი-დეს დანაკლისს, რომელიც შე-დეგია უბედურ შემთხვევის.

კომკავშირთა ორგანიზაცია ქართულ წითელ ჯარში ივ-ლის იმ გზით და იმ გაბედუ-ლებით და რევოლიუციონური ენტუზიაზმით, რითაც აღჭუ-რვილი იყო ამხ. დათიკო თა-ვის სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

ეს იქნება უკანასკნელი ფი-ცის დადება ამხ. დათიკოს წი-ნაშე.

ნ. პატარაია.

# პარტიული ცხოვრება

### 1-ლ ლეგიონის მე-3-ე ასეულის კომუჯრედში.

12 იანვარს, შესდგა 1-ლ ლეგიონის მე-3-ე ასეულის გა-ერთიანებული ღია კრება, რო-მელსაც დაესწრენ, როგორც პარტიული, ისე უპარტიო წი-თელი მოლაშქრეები.

დღის წესრიგში იდგა შემ-დეგი საკითხები:

1. წარსული კრების ოქმის დამტკიცება, 2. მენშევიკების ახალი პოლიტიკა და ჩვენი ამო-ცანები, 3. განცხადებების გა-რჩევა პარტიაში მიღების შე-სახებ და 4. მიმდინარე საკით-ხები.

მეორე საკითხის გარშემო მოხსენება გააკეთა ამხ. დ. ცინ-ცაძემ, რომელმაც აღნიშნა მენ-შევიკების ახალი ტაქტიკის შე-სახებ. აღნიშნულ იქნა მენ-შევიკების თანამშრომლობა კონტრრევოლიუციასთან რო-გორიც იყო დენიკინი, ვრანგე-ლი და სხვა რომ შეერთებული ძალით ჩამოეგდოთ საბჭოთა ხე-ლისუფლება. აღნიშნულ იქნა დასავლეთ ევროპის მენშევიკე-ბის მოღვაწეობა და მათი მოღა-ლატეობა მშრომელი ხალხისა-დმი. ამხანაგის მოხსენება ყვე-ლასათვის გასაგები იყო, რაზე-დაც გამოტანილი იქნა სათანა-დო რეზოლიუცია.

შემდეგ განხილული იქნა პა-რტიაში შესვლის მსურველთა განცხადებები.

# ამბები სოფლებიდან.

**ქოხ-სამკითხველოები.**

დუშეთის მაზრაში 1924 წლის განმავლობაში მოქმედებდა 17 ქოხ-სამკითხველო.

**სანიტარული კომისიები სოფლად.**

დუშეთის აღმასკომს განზრახული აქვს ყველა თემებში დაარსოს სანიტარული კომისიები, რომლებიც თვალყურს ადევნებენ საექიმო პუნქტების საქმიანობას და მცხოვრებთა მიერ სისუფთავის დაცვას.

**ხელოსნობის გასავრცელებლათ.**

ქუთაისის ხელოსანთა კავშირმა იშუამდგომლა სოც უზრ. კომისარიატის წინაშე, რათა ხელოსნობის გავრცელების მიზნით, შეგირდები ჩარიცხონ საზოგადოების წევრებათ და იქვე იქნენ დაზღვეულნი, რის გამოც შემდეგ ყველა ხელოსნები დასთანხმდებიან შეგირდების აყვანას.

**მანგლისის რაიონში.**

ამ ჟამად მანგლისის რაიონში გახსნილია 10 სკოლა და 9 ქოხ-სამკითხველო,

**თემებათ დაყოფა.**

დუშეთის მაზრაში სათემო სისტემაზე გადასვლა გადაწყვეტილია საბჭოთა არჩევნების გათავების შემდეგ.

**გლეხების კომუნა.**

სოფ. ველისციხეში (კახეთი) დაარსდა გლეხების კომუნა, რომელმაც პირველ მიზნათ დაისახა სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოება.

---

ერთი ა. კ. კ. წევრი გადარიცხული იქნა პარტიის კანდიდატათ და სხვებს კი უარი ეთქვათ დროებით, რადგან ანკეტებს ფორმალური მხარეები აკლდა. მიმდინარე კითხვებში შამოტანილი იქნა სხვა და სხვა შინაარსის საკითხები, რომელზედაც კომუჯრედმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

**ჟონეთელი.**

---

# უცხოეთის არმიებში.

**დანიის სქემა განიარაღებისათვის.**

დანიის მთავრობამ მოიწონა სამხედრო ფლოტის სანაპირო დამცველ ფლოტად გადაკეთების პროექტი. ფლოტი შესდგება ხუთი გემისაგან. თითეული მათგანი 500—800 ტონის წყალტეობის არის.

**ფლეტნერის პრინციპების ახალი გამოყენება.**

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ რაც იტყობინებოდენ ფლეტნერის ახალ გამოგონების შესახებ (გერმანია) ამ ჟამად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს აღნიშნულ გამოგონებისაგან მიღებულ შედეგების გამოსაყენებლად. ცნობილმა სპორტ-სმენმა და გემთაღმშენებელ ინჟენერ ა. სამუელმა, ფლეტნერის პრინციპი გამოიყენა მოტორიან ნავისთვის, და დამაკმაყოფილებელი შედეგებიც მიიღო. ნავზე მოტორის სისტემის დაცვით, მან ისარგებლა ჰაერის მდინარებით მოიხმარა ფლეტნერის პრინციპი და ამნაირად შესაძლებელი შეიქნა მოტორიანი ნავის მთელი სხეულისაგან წყალთან ხახუნის შემცირება. ამან კი ძლიერ გაადიდა ნავის სიჩქარე. აჩქარება რომელიც მიიღო ნავმა ფლეტნერის პრინციპის მოხმარებით უდრის ნავის პირველყოფილ სიჩქარის 20 პროცენტს.

**ჩეხო—სლავიის არმიის რაოდენობა.**

ჩეხო-სლავიის არმიის რიცხვი მშვიდობიანურ დროს უდრის 150.000 კაცს. ის შესდგება 12 ფეხოსან დივიზიის, ორი სამთო ბრიგადისა, ერთი ცხენოსანთა დივიზიის, 3 ცხენ. ბრიგადის, 47 არტილერიის სხვა და სხვა გაერთიანებისაგან, უმაღლესი სარდლობის არტილერიის, 7 სხვა და სხვა საინჟენერო ნაწილების, 5 ჯავშნოსანი მატარებლების ბრიგადისა და სხვათა ნაწილებისაგან.

მშვიდობიანურ დროს დივიზია შესდგება 2 ფეხოსანთა ბრიგადისაგან, თითეული ორი ლეგიონის შემადგენლობით. ერთი საველე ლეგიონის, ერთი მძიმე საველე და ერთიც სამთო არტილერიისაგან. ფეხოსანთა დივიზიის შემადგენლობაში მშვიდობიანურ დროს, შედიან ტანკებით შიარაღებული ნაწილები, ჯავშნოსანი ავტომობილები და ჯავშნოსანი მატარებლები.

**გუშაგი იაპონიაში.**

გუშაგის როლი დიდმნიშვნელოვანია.

მნახველთა სიტყვებით, გუშაგის წინ გამვლელი თითეული მოქალაქე ქუდს იხდის და თავს უკრავს მას. ამით ისინი აღნიშნნავენ იმ პატივის ცემას, რომლითაც უნდა სარგებლობდეს სახელმწიფო ქონების სადარაჯოზე მდგარი კაცი.

**ახალი ფრანგული საზენიტო (მაღლა—პირდაპირ) შორს მსროლელი ზარბაზანი**

ეს ზარბაზანი 8 და ერთი მეოთხედი დიუმის კალიბრისაა. ჭურვის—ყუმბარის წონა უდრის 6 ნახ' ფუთს.

სარბაზნის გადატან-გადმოტანა შეიძლება რკინის გზებით და სპეციალურად დამზადებულია გერმანიისა და ინგლისის საწინააღმდეგოთ.

საფრანგეთის რკინის გზებმა ვერ გაუძლეს ამ ზარბაზნის სიმძიმეს და საჭირო შეიქნა მათი გადაკეთება. თუ საფრანგეთის იმპერიალისტებმა განიზრახეს ამ დიდი ზარბაზნის საბჭოთა კავშირის წინაღმდეგ გამოყენება ის ჩაიფლება რუსეთის ტალახებში და ხელში ჩაიგდებენ ჩვენი ცხენოსანი ლეგიონები.

**ნ. დ. ს. ც.**

# ახალი ამბები.

— **ალმასკომების დახმარება.** დუშეთის აღმასკომმა შეაკეთა ყაზარმა მეორე ტერლეგიონის ნაწილის საჭიროებისათვის.

— **ყაზარმის მოწყობილობა.** სენაკის აღმასკომმა გადასცა ადგილობრივ მდგარ № ლეგიონის მეორე ათასეულს საყაზარმო მოწყობილობის ნაწილი.

— **მაზრების რუქები.** შინაგან საქმ. სახ. კომისარიატმა მიავლინა მაზრებში ტოფოგრაფი ბარამიძე მაზრების რუქების გამოცემის საქმის მოსაგვარებლათ.

— **ქალაქის საბჭოს არჩევნებისთვის.** ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა ტფილისისა და მისი მაზრის საბჭოების ჩასატარებელი ხარჯ აღრიცხვა.

— **ქალაქის აღმასკომმა** დაადასტურა კომუნალური განყოფილების დადგენილება ტფილისის ელსადგურების რეორგანიზაციის შესახებ.

— **საძოვრების საკითხის მოსაგვარებლათ** შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა მიავლინა თავისი რწმუნებული თუშეთში.

— **კოლექტივების აღრიცხვა.** შრომის სახალხო კომისარიატმა დაადგინა მოახდინოს რესპუბლიკაში არსებული შრომის კოლექტივების აღრიცხვა.

— **ახალი წიგნის მაღაზია.** შრომის კომისარიატის ინიციატივით რუსთაველის პროსპ. გაიხსნა წიგნის მაღაზია, სადაც იქნება მთელი ლიტერატურა შრომის საკითხების შესახებ.

— **ზემო ავჭალაში.** დიდი ყინვების გამო შეჩერებული მუშაობა ზემო ავჭალაში, უკვე განახლდა.

## ხელოვნება.

— **ქართული თეატრის 75 წ. თავი.** დღეს ოპერის თეატრში ქართ. მსახიობთა კოლექტივის მიერ წარმოდგენილ იქნება ვასო აბაშიძის მონაწილეობით „რაც გინახავს ვეღარ ნახავ" და „რაც არ მერგება არ შემერგება".

— **„ქარიშხალის წინა დღეებში".** პარასკევს გაიხსნება კინო „აისი", სადაც პირველათ აჩვენებენ ახალ სურათს „ქარიშხალის წინა დღეებში". დადგმა მარჯანიშვილისა.

---

# სამნეო დარგის საკითხები.

**კიდევ სამნეო დარგის კომისიებზე.**

ამ ბოლო დროს ეს საკითხი ძალიან ხშირად ირჩევა, როგორც სხვა და სხვა კრებებზე, აგრეთვე გაზეთის ფურცლებზეც. აღარა ღირს დაუბრუნდეთ ამავე საკითხს იმის შემდეგ რაც, მე მგონია, უკვე ნათლად იყო ნათქვამი თავის დროზე ჩვენ გაზეთ „წითელ არმიელი-"ს №№ 683, 685 და 689-ში მოთავსებულ წერილებში.

ავტორმა „ა—კ" თავის წერილში „როგორ უნდა იმუშაოს სამნეო დამხმარე კომისიამ" დაუმატა ზოგიერთი კონკრეტიული ფაქტები კომისიის შეცდომებზე, მაგრამ არსებითათ იმასთან შედარებით, რაც წინათ იყო ნათქვამი, ახალი აღარა უთქვამს რა.

მე ნებას მივცემ ჩემ თავს კიდევ ერთხელ ურჩიო ყველა ჩვენს სამნეო მუშაკებს შეისწავლონ, როგორც წესები სამნეო კომისიის მუშაობის შესახებ, თანდართული რ. რ. ს. ს. 1924 წ. 542 ბრძანებასთან, აგრეთვე საზოგადო დებულება სამნეო დარგზე, და სერიოზულად, მეტი ცოცხალი ინიციატივის გამოჩენით, მოეკიდნენ ერთეულის სამნეო ნაწილის გაჯანსაღების საქმეს.

**ნაცნობობით და მეგობრობით.**

სამხკოთი „დურბინდი" გაზეთ „წითელ არმიელის" № 694-ში აღნიშნავს, რომ პირველ ლეგიონში ხელზე მიმღებებს ნაცნობობით და მეგობრობით აძლევენ უკეთეს ხორცსო და ქვაბში კი სდებენ ცუდსაო. ამნაირი უკმაყოფილება, ე. ი. რომ ზოგიერთს ჯარის ნაწილებში „უფროსებისთვის" და კარგი მეგობრებისთვის იძლევა საუკეთესო ხარისხის სურსათ-სანოვაგეო და წითელ არმიელი კი უნდა დაკმაყოფილდეს იმით, რაც დარჩებაო—მე გამიგონია სიტყვიერადაც.

ეს მოვლენა სრულებით არა ნორმალურია. ამას უნდა ვებრძოლოთ და სავსებით მოვსპოთ. სამნეო კომისიამ ამისთანა შემთხვევებზე უნდა მოახსენოს სამხკომს, და სამნეო ნაწილის გამგემ კი—ჩააგონოს მეკუჭნავეს რომ ყოველივე სურსათ-სანოვაგე უნდა დაწესებულ ნორმით პროპორციანულად (თანაბრად) ნაწილდებოდეს, როგორც ხელზე მიმღებთათვის, აგრეთვე ქვაბისათვის.

საჭიროა გვახსოვდეს, რომ წითელ ლაშქარს თავის შემადგენლობაში არ ჰყავს „შავი და თეთრი ტყავის" ხალხი, როგორც ეს იყო ძველ ჯარში; არის მხოლოდ ერთი მუშათა და გლეხთა ოჯახი, ყველას კუჭი მოითხოვს კარგ საჭმელს, მაშასადამე ყველაის რასაც ვღებულობთ, უნდა ნაწილდებოდეს თანასწორად და ძმურად. ის პიროვნებები კი, რომლებიც სარგებლობენ ან თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობით ან განსაკუთრებითი ნაცნობობით და თხოულობენ თავიანთთვის წითელ არმიელებთან შედარებით უფრო უკეთეს ხარისხის სურსათ-სანოვაგეს,—და ის მეკუჭნავეები, რომლებიც ასრულებენ ამნაირ უკანონო მოთხოვნილებებს უნდა მიცემულ იქნ... პასუხისგებაში—როგორც ... ლებნი და მიმცემნი ქრთ... მის.

**ს. შაკუნი.**

---

# მეცნიერება და ტეხნიკა.

**უდიდესი რადიო გადამცემი სადგური მსოფლიო... ში.**

ასეთი სადგურიაარის ინგლისში ქ. ჩემსფორდში. რადგანაც ეს სადგური ძლიერ ხმა მაღალი ტონით უშვებს ცნობებს, გადაწყდა გამოიყენონ ის პოლიტიკური პროპაგანდისათვის.

კაპიტალისტურ ქვეყნებში რადიოც კი ემსახურება ბურჟუაზიას.

**კინო სურათები რადიოს საშვალებით.**

ერთმა ამერიკელმა პოლკოვნიკმა—გრინიმ გამოიგონა ისეთი საშვალება, რომლის შემწეობითაც შესაძლებელი ხდება კინო სურათების ჩვენება დიდ მანძილიდან. გრინისთავის ხელსაწყო დამზადებუ... აქვს ისე, რომ ადვილად შ... ძლებოდეს ამ მიზნით რადი... ტალღების გამოყენება.

ჯერ ჯერობით მან შესძ... სურათების დემონსტრაცია... ჩვენება მცირე მანძილიდან.

**ყველა შუქურებზე (მაი... რადიო სადგურები.**

ამ ჟამად ინგლისის სანაპ... როების ყველა შუქრებზე ... ყობა რადიო სადგურები, რ... მელთა დანიშნულებაას შე... გენს, კავშირი დაიჭიროს გ... მებთან, და შეატყობიოს მ... ყოველგვარი მოვლენების შე... ხებ.

---

# პასუხად ამხ. მ. ს-ს.

გაზეთ „წითელ არმიელის" № 4-ში მოთავსებულია ამხ. მ. ს-ს წერილი ლეგიონის საკონტროლო კომისიის საყურადღებოთ.

ამხ. თავის წერილში „სადმიდის ჩვენი ხვედრი ხორცი" მოითხოვს, რომ საკონტროლო კომისიამ სათანადო ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და გამოსწორებული იქნ ეს ნაკლი.

ერთის შეხედვით წერილი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს თითქოს ხორცის განაწილების საქმეში სამზარეულოში დიდ ბოროტმოქმედებას ქონდეს ადგილი. მაგრამ ეს ასე არ არის. საკონტროლო კომისიას სამზარეულოში მიმაგრებულ ყავს ერთი თავისი წევრი, რომელიც ყველაფერ თვალ-ყურს ადევნებს და მაშასადამე ბოროტ-მოქმედებას და მითვისებას აქ ადგილი არ ექნებოდა.

საქმე შემდეგშია: ლეგიონის მნემ წითელ არმიელებისათვის სადილის გაუმჯობესებას მიზნით ასე გაანაწილა კვების საქმე. სადილად არმიელები ღებულობენ „ბორშს" და მეორე თავად ქაშს, ხოლო ვახშმად კიდევ „ბორშს".

„ბორშის" ორად განაწილებამ გამოიწვია, როგორც სადილად, ისე ვახშმად ხორცის ულუფის შემცირება. ეს განაწილება მართალი უნდა ითქვას ვერ გამოდგა საფუძვლიანი, რადგან ჯერ ერთი ასეთი გარემოება შეიქნა არმიელებში და მეორ... კი ვახშმათ „ბორშის" მიღ... ბის დროს წითელ არმიელე... თითქმის ყველას შეჭმულ... აქვთ ხვედრი პური ... რჩებიან „ბორშის" ამარ... აი საქმე ასეა და არავითარ წ... თელ არმიელის ულუფის მი... ვისებას ადგილი არა აქვს. ს... მნეო ნაწილის უფროსის ... გეგმა აუცილებლად შეცვლ... ლი იქნება, მაგრამ თუ მან ც... დი შედეგები მოგვცა ამას ს... ფუძვლად არავითარი ბორო... განზრახვები არ ქონდა, არ... მედ ატარებდა ცდის ხასიათს.

როდესაც ამხ. მ. ს-ს. გვ... საყვედურებს, რომ ყურადღებ... არ აქცევს კომისია ამ გარ... მოებასო ეს არ არის მართალ... რადგან კომისია საკმაოდ ზრ... ნავს ამ საქმეზე და სამხკომ... და ლეგიონის თავის საშვალ... ბით ყოველგვარ ნაკლულე... ნებას ებრძვის ყაზარმას ცხ... ვრებაში.

ამ ჟამად საკონტროლო კ... მისია, ყოველგვარ ზომებს მ... იღებს რომ სამნეო ნაწილ... უფროსთან ერთად შესცვალ... სადილის გაწესრიგების ეს წ... სი და დაკმაყოფილებული ... ნეს წითელ არმიელები.

ლეგ. საკანტ. კომ თავმჯდო... მარე **ს. იმნაიშვილი.**

---

პასუხისმგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე**

---

1-ლ ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტგანყოფილება მწუხარებით აუწყებს მისი ყოფილ აქტიურ მომუშავის

## ამხ. დათიკო კაჭარავას

ტრაღიკულად გარდაცვალებას.

---

**დაბეჭდვა**

**დავკარგე** საქ. საგანგ. კო-იის განსაკუთრებ... განყოფილების მიმართვა № 5 8 იანვრის თარიღით მე-6 ლეგ. სამხკომის სახელზე ბენია... ჩხიკვაძის შესახებ. ჩაითვალოს გაუქმებულად.